

გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი N 3

01.08.2022 წ.

ქ.გორი

მიმდინარე წლის 1 აგვისტოს გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მესამე, გასვლითი სხდომა გაიმართა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოში.

შეხვედრის დაწყების დრო 16:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. დარეჯან მურადაშვილი
2. იოსებ ალიმბარაშვილი
3. ზურაბ ზურაბაშვილი
4. ნანა ტერმაკოზაშვილი
5. ბექა ტატალაშვილი
6. იაკობ მათალაშვილი
7. მარინე მღებრიშვილი
8. ნინო გიორგაძე
9. ზაურ საგანელიძე
10. თამარ კაპანაძე

ასევე ესწრებოდნენ:

ზურაბ ჯირკველიშვილი
მალვა ტლაშაძე

დღის წესრიგი:

1. მისალმება, დღის წესრიგის გაცნობა - დარეჯან მურადაშვილი
2. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს მუშაობის სტრუქტურისა და მგზავრთა მომსახურების სისტემის გაცნობა - გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი - ზურაბ ჯირკველიშვილი
3. მუნიციპალურ ტრანსპორტთან დაკავშირებული გამოწვევები - საბჭოს წევრები
4. დისკუსია
5. შეჯამება
7. მომდევნო საბჭოს სხდომის დღის თარიღის და საკითხების განსაზღვრა.

მომხსენებელი: მრჩეველთა საბჭოს მდივანი - თამარ კაპანაძე

მოისმინეს:

დარეჯან მურადაშვილი - მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან მურადაშვილმა. მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს და გააცნო დღის წესრიგი.

აღნიშნა, რომ საზოგადოებისათვის ძალიან აქტუალურია მუნიციპალური ტრანსპორტის ეფექტურად მუშაობის საკითხი,რის გამოც გადაწყდა,რომ საბჭოს მთელი სხდომა ამ თემისთვის დაეთმოს. დეტალების გასაცნობად სიტყვა გადასცა გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს ზურაბ ჯირკველიძევილს.

ზურაბ ჯირკველიძევილმა საბჭოს წევრებს გააცნო ტრანსპორტის სააგენტოს სტრუქტურა, მუშაობის სისტემა, მარშრუტების კონფიგურაცია, მგზავრთა გადაყვანის საინფორმაციო სისტემა და ავტობუსების მოძრაობის LIVE კონტროლის მექანიზმი. აღნიშნა, რომ სისტემა სრული დატვირთვით მუშაობს, რათა ხელი შეეწყოს მგზავრთა ინფორმირებასა და უსაფრთხოებას.

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს, ამ ეტაპზე, ჯამში 30 ევროპული სტანდარტის ავტობუსი ჰყავს, რომელიც გადაცემულია მუნიციპალური ტრანსპორტის პროგრამის განვითარების ფარგლებში. ყველა სატრანსპორტო საშუალება სრულიად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, აღჭურვილია ვენტილაციის თანამედროვე სისტემით, დაინერგა გადახდის ელექტრონული სისტემა, ავტობუსებში გამოკრულია როგორც ცხელი ხაზის ნომერი, ასევე ინფორმაცია სამგზავრო ბარათის შევსებისა და მგზავრობის საფასურის გადახდის შესახებ.

მძღოლები და კონტროლიორები უზრუნველყოფილნი არიან სპეციალური სამუშაო ფორმებით, დაცულია უსაფრთხოების ნორმები, რათა მოქალაქეებმა იმგზავრონ მშვიდად და კომფორტულად, ავტობუსები ყოველდღიურად ირეცხება და ტარდება სადუზინფექციო სამუშაოები. პროფესიული გადამზადება გაიარეს მძღოლებმა, მექანიკოსებმა, კონტროლიორებმა, დისპეტჩერებმა. ჯირკველიძევილის განმარტებით მძღოლები ყოველ დღით გადიან სამედიცინო შემოწმებას. პერიოდულად ტარდება ტრანსპორტით მოსარგებლე მოქალაქეების გამოკითხვები მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის კმაყოფილების დონის განსაზღვრისათვის.

მიუხედავად არსებული მართვის სისტემისა, კვალიფიციური თანამშრომლებისა, მაინც არსებობს ტექნიკური თუ სისტემური საკითხები,რაც აფერხებს ტრანსპორტის გამართულად მუშაობას და იწვევს მგზავრთა უკმაყოფილებას.

მხარეებმა ისაუბრეს იმ გამოწვევების შესახებ, რაც გორის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობას აწუხებს.

საბჭოს წევრებმა წარადგინეს იმ გამოწვევების ჩამონათვალი,რომელიც მოქალაქეთა გამოკითხვის დროს გამოიკვეთა:

- მოუწესრიგებელი მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემა;
- საინფორმაციო დაფებზე ხელმიუწვდომლობა;
- გაუმართავი ჩასარიცხი აპარატები;
- ავტობუსებში ჩასარიცხი აპარატების არარსებობა;
- ავტობუსების არასაკმარისი რაოდენობა;
- 19 საათის შემდეგ ტრანსპორტზე ხელმიუწვდომლობა;
- საინფორმაციო დაფაზე გამოკრული დროებისა და გრაფიკის ცდომილება;
- მოუწესრიგებელი დროის ინტერვალები/გრაფიკები;
- არასაკმარისი ინფრასტრუქტურა და არადაპტირებული გაჩერებები;
- გაჩერებების ნაწილზე საინფორმაციო დაფების არარსებობა;
- შეღავათებზე ხელმიუწვდომლობა სტუდენტებისა და ხანდაზმულებისათვის;
- მგზავრების მიმართ უხეში დამოკიდებულება მძღოლისა და კონტროლიორების მხრიდან.

ზურაბ ჯირკველიძევილი საბჭოს წევრებს განუმარტა ის გამომწვევი მიზეზები, რომელიც იწვევს არსებული მდგომარეობას და აღნიშნა, რომ სააგენტო უწყვეტ რეჟიმში ზრუნავს მიმდინარე ხარვეზების გამოსწორებაზე.

ასევე აღინიშნა ის ფაქტი, რომ არსებული ხარვეზების გამოსწორების მოგვარების მიზნით, პროექტის ფარგლებში შერჩეულია საერთაშორისო საკონსულტაციო ორგანიზაცია, რომელთანაც თანამშრომლობით უნდა შემუშავდეს რეკომენდაციების პაკეტი და გაიწეროს მისი შესრულების გეგმა.

დარეჯან მურადაშვილი - შეაჯამა მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მესამე სხდომა. შეხვედრის დროს მოსმენილი არგუმენტებიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ გორის მოსახლეობის ერთ ერთი პრიორიტეტული პრობლემის მოგვარება საჭიროებს საკმაოდ კომპლექსურ მიდგომას. იმისთვის, რომ მოხდეს ადეკვატური და რეალური რეკომენდაციების შემუშავება და მერისთვის წარდგენა, საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და შესაბამისად, საბჭო განაგრძობს სააგენტოსთან თანამშრომლობას და ასევე გამოხატავს საკონსულტაციო ჯგუფთან სამუშაო პროცესში ჩართვის მზაობას.

საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ მნიშვნელოვანია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ეფექტური მუშაობა იმაზე, რომ მოსახლეობას ადეკვატურად მიეწოდოს ინფორმაცია არსებული ხარვეზების გამომწვევი ობიექტური მიზეზების შესახებ, ასევე სასურველია რეკომენდაციების შემუშავების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი აზრის გათვალისწინება და მათზე მორგებული სერვისების შეთავაზება.

დაადგინეს/გადაწყვიტეს:

განისაზღვრა მომდევნო საბჭოს დღის წესრიგი.

საბჭოს #4 სხდომა გაიმართება 2022 წლის სექტემბრის თვეში და დაეთმობა 2023 წლის ბიუჯეტის დოკუმენტის განხილვას.

საბჭომ მუშაობა დაასრულა 19 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე:

დარეჯან მურადაშვილი

